ევროკავშირი
საქართველოსთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ონლაინ რადიკალიზაცია
და მისი გავლენის შეკავების გზები



პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორი: გონსალო კროჩი

რედაქტორი: ნინო ხიდიშელი

მთარგმნელი: ნინო კარანაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *კროჩი, გ. (2024). ონლაინ რადიკალიზაცია და მისი გავლენის შეკავების გზები. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

ონლაინ რადიკალიზაცია და მისი გავლენის შეკავების გზები

სარჩევი

1. შესავალი 1

2. რადიკალიზაცია: თეორიები და განსაზღვრებები 2

3. გზები, რომლითაც რადიკალური ჯგუფები იყენებენ ონლაინ ინსტრუმენტებს ინდივიდების რადიკალიზაციისთვის 6

4. ონლაინ რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკა და სტრატეგიები 8

   4.1. რადიკალურ კონტენტზე მოთხოვნის შემცირება 8

   4.2. რადიკალური შინაარსის მიწოდების შემცირება 12

5. დასკვნა 15

ბიბლიოგრაფია 17

1. შესავალი

ინტერნეტის უპირატესობებს, როგორებიცაა: მისი ხელმისაწვდომობა, შეზღუდვების ნაკლებობა, დიდი პოტენციური აუდიტორია და სწრაფი ინფორმაციის ნაკადი, ბოროტად იყენებენ ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ინდივიდების რადიკალიზაციაზე თავიანთი გეგმებისა თუ მიზნების მისაღწევად.

რადიკალიზმი გულისხმობს დამოკიდებულებების ან ქცევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს აჯანყების სურვილს პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სისტემების, ასევე, უფრო ფართოდ, საზოგადოებაში მიღებული ნორმებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ (Galland, & Muxel, 2020). გზები, რომლითაც ხდება ინდივიდების იდეოლოგიური რადიკალიზაცია, ვითარდება და სულ უფრო მეტად გვხვდება სოციალური მედიის პლატფორმებსა და ონლაინ ჯგუფებში. რადიკალური ჯგუფები თავს იჩენენ, როგორც სოციალური მედიის ტექნოლოგიების კომპეტენტური მომხმარებლები ინტერნეტის არსებობის პირველივე დღეებიდან, იყენებენ ინტერნეტს კონტენტის წარმოების მიზნით, ასევე გასავრცელებლად, მიმდევრების მოსაზიდად და რადიკალიზაციისთვის, ონლაინ და ოფლაინ ოპერაციების დაგეგმვისა თუ შემოსავლის წყაროების შესაქმნელად. ინტერნეტი გახდა ერთ-ერთი ძირითადი ოპერატიული გარემო, რომელშიც რეალიზდება რადიკალური პოლიტიკური იდეოლოგიები, იგეგმება თავდასხმები და იქმნება სოციალური მოძრაობები (Winter, Neumann, Meleagrou-Hitchens, Ranstorp, Vidino, & Fürst, 2020).

დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სამთავრობო ორგანიზაციები, სამართალდამცავი უწყებები, მედიები და სხვები, ხაზგასმით უთითებენ ონლაინ რადიკალიზაციის საფრთხეზე, როგორც პოლიტიკის მთავარ საკითხზე (Correa & Sureka, 2013). დღესდღეობით, ეროვნული უსაფრთხოების გამოძიების, სადაზვერვო და სამართალდამცავი ორგანიზაციების უმეტესობა ითვალისწინებს ინტერნეტს. ძალადობრივი და არაძალადობრივი რადიკალური ორგანიზაციები სარგებლობენ ცვალებადი საინფორმაციო გარემოთი, სოციალური მედიის პლატფორმების და ადვილად ხელმისაწვდომი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა მიაღწიონ უფრო ფართო აუდიტორიას და შეძლონ მოწყვლადი პირების გადაბირება (Bastug, Douai, & Akca, 2020). ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანების უმეტესობა ვერ ახერხებს განასხვაოს ნამდვილი, თაღლითური და შეცდომაში შემყვანი ონლაინ კონტენტი, რაც მათ დაუცველს ხდის წამქეზებელი, პროპაგანდისტული მასალების შემთხვევითი გავრცელების მიმართ (Williams, Evans, Ryan, Mueller, & Downing, 2021).

ლიტერატურის მიხედვით, არსებობს ორი ველი, რომელსაც შეუძლია გამოკვებოს რადიკალიზაცია ონლაინ და ოფლაინ დომენებზე. ამ ორის განცალკევების შესაძლებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მას შემდეგ, რაც რადიკალიზებული ინდივიდები იყენებენ ორივე დომენს თავიანთი საქმიანობისთვის და

შეუფერხებლად მოძრაობენ ორივეს შორის (Pauwels & Schils, 2016; Gill et al., 2017; Whittaker, 2022). გარდა ამისა, დღეს მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ რადიკალიზაცია არ არის წრფივი ან ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარე პროცესი, არამედ მულტიფაქტორული ფენომენია (ფრისენი, 2021), სადაც მრავალი მექანიზმი, სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა ადამიანზე, არაერთი გზით მოქმედებს (Borum, 2011).

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია რადიკალური ჯგუფების ზემოქმედებისა და ინდივიდების ონლაინ მოზიდვის ძირითადი თეორიები თუ გზები და ამ გავლენის დასაძლევად, მთავრობების მიერ გამოყენებული ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტები და სტრატეგიები.

2. რადიკალიზაცია: თეორიები და განსაზღვრებები

ტერმინი ,,რადიკალიზმი“ უფრო ძველია, ვიდრე ,,ექსტრემიზმი“ და მისი მნიშვნელობა ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ვითარდებოდა. ამ ორ ტერმინს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ რადიკალიზმი შეიძლება განთავსდეს დემოკრატიული კონსენსუსის კიდეებზე, ხოლო ექსტრემიზმი კი მის გარეთ არის (Bötticher, 2017). გარდა ამისა, იდეოლოგიურ რადიკალიზაციაზე ფოკუსირება ქმნის რადიკალური იდეალების ტერორიზმთან გაიგივების რისკს, მაშინაც კი, თუ ჩვენ ვიცით, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. რადიკალური ინდივიდების უმეტესობა არ ჩადის ტერორისტულ აქტებს. ბევრ ტერორისტს არ გააჩნია რადიკალური იდეოლოგიური მრწამსი და შეიძლება არცკი ,,რადიკალიზდეს“ ჩვეულებრივი გაგებით (Borum, 2011). როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ რადიკალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ექსტრემისტული რწმენის მიღება, რომელიც ამართლებს ძალადობას და ტერორისტულ აქტივობას, იგი მხოლოდ ერთ-ერთია მრავალი შესაძლო გზიდან, რომლებიც იწვევენ ტერორიზმში ჩართულობას.

რადიკალიზაციის იდეა, ბორუმის (2011), სეჯვიკის (2010), შურმანისა და ტეილორის (2018) და სხვების მიხედვით, ბუნდოვანია. განსაკუთრებით გაურკვევლობას იწვევს, ეხება თუ არა ის რადიკალური იდეების ჩამოყალიბების პროცესს (ანუ, ექსტრემისტად ან რადიკალად გახდომას - ავტ. შენიშვნა) თუ რადიკალური ქმედებების განხორციელებას (მაგ: ძალადობრივი ქმედებების ან ტერორისტული ქმედებების განხორციელებას - ავტ. შენიშვნა).

რადიკალიზაციის კვლევის სფეროში ბევრი საკითხი გაურკვეველია, დაწყებული განმარტების ბუნდოვანებიდან, დამთავრებული პირდაპირი მიზეზობრივი მოდელების არარსებობით, რომლებსაც შეუძლიათ ადეკვატურად ახსნან გარემოებები, რომლებშიც ხდება რადიკალიზაცია, როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ (Marwick, Clancy, & Furl, 2022). საგულისხმოა, რომ რადიკალიზაციის ფენომენი უაღრესად კომპლექსურია და მისი ფორმირების ასახსნელად მრავალი თეორია გვხვდება. მაგალითად, საგემანი (Sageman, 2011) ამტკიცებდა, რომ რადიკალიზაცია

ძირითადად აღმავალი პროცესია, რომელიც მეტწილად ფორმალური ორგანიზაციების გავლენის მიღმა ხდება და სოციალური ქსელები რადიკალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ, რომელთა გავლენაც აჭარბებს რადიკალური ორგანიზაციებისას. სხვები ხედავენ რადიკალიზაციას, როგორც დაღმავალ პროცესს, რომელიც იერარქიულად არის მოწყობილი რადიკალური ორგანიზაციის მხრიდან (ჰოფმანი, 2017). ამასთან, ვიქტოროვიჩის მტკიცებით, (Wiktorowicz, 2005) იდენტობის ფორმირება ცენტრალურია რადიკალიზაციისთვის და ინდივიდუალური გარემოებიდან გამომდინარე, რადიკალიზაცია ჩვეულებრივ ხდება თანდათანობით და კუმულაციურად.

კოელერი (Koehler, 2014) აჯამებს რადიკალიზაციის პროცესის თეორიებს ოთხ ძირითად სკოლაში. ესენია: სოციოლოგიური, სოციალური მოძრაობა, ემპირიული და ფსიქოლოგიური თეორიები. სოციოლოგიური სკოლის მიხედვით, ინდივიდები უთითებენ იდენტობის დაკარგვაზე მტრულ გარემოში, რაც რადიკალიზაციის უპირველესი მიზეზია. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური მოძრაობის თეორია ამტკიცებს, რომ რადიკალიზაცია ხდება „ნეთვორქინგის“, ჯგუფის დინამიკის და თანატოლთა ზეწოლის გამო. ემპირიული სკოლა განმარტავს, რომ ინდივიდის რადიკალიზაციის მოტივაცია ინდივიდუალურ დონეზე და სოციალურ-ეკონომიკური პროფილების მიხედვით უნდა ვეძებოთ. ფსიქოლოგიური სკოლა ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორებიცაა: ემოციური დაუცველობა, მიმდინარე პოლიტიკური აქტივობებით უკმაყოფილება, მსხვერპლებთან იდენტიფიკაცია, რწმენა იმისა, რომ ძალადობა არ არის ამორალური და სოციალური კავშირები რადიკალურ ჯგუფებთან, ყველა მნიშვნელოვანი მოტივაციაა რადიკალიზაციისთვის.

სხვადასხვა თეორიასთან ერთად, ასევე, არსებობს სხვადასხვა განმარტება, რომლებშიც იკითხება რადიკალიზაციის სინგულარულობის ახსნის მცდელობა. ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ მკვლევრები ვერ თანხმდებიან რადიკალიზაციის ერთ კონკრეტულ განმარტებაზე და ლიტერატურაში რამდენიმე განსაზღვრებას ვკითხულობთ. მაგალითად, ბიტნერი (1963, გვ. 929) ამტკიცებდა, რომ რადიკალიზმი გულისხმობს „განსხვავებულ ფილოსოფიას და სოციალური ცვლილების პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სიძულვილის სისტემურ განადგურებას და მის ჩანაცვლებას ხელოვნებით, რწმენით, მეცნიერებით ან საზოგადოებით, რომელიც ლოგიკურად წარმოჩინდება, როგორც ჭეშმარიტი და კარგი, ლამაზი და სამართლიანი (...)“. ამ აზრის მიხედვით, რადიკალური ჯგუფების ცენტრალური მახასიათებელია ის, რომ ისინი თავიანთი ჯგუფის ნორმებსა და ღირებულებებს უფრო აღმატებულად თვლიან სხვა ჯგუფების ნორმებსა თუ ღირებულებებთან შედარებით, რაც ქმნის ,,ჩვენ" „მათ“ წინააღმდეგ დაყოფას. ეს კი შეიძლება ძალადობის გამოყენების საფუძველი გახდეს. პრეხტმა (2007) შეაჯამა რადიკალიზაციის კონცეფცია, როგორც „(...) პიროვნებები, რომლებიც იმედგაცრუებულნი არიან თავიანთი ცხოვრებით, საზოგადოების ან თავიანთი

მთავრობების საგარეო პოლიტიკით. ტიპური მაგალითია ის, რომ ეს პირები ხვდებიან სხვა თანამოაზრეებს და ისინი ერთად გაივლიან რიგ მოვლენებსა და ფაზებს, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს ტერორიზმი. საგულისხმოა, რომ მხოლოდ რამდენიმე ხდება ტერორისტი, დანარჩენები ჩერდებიან ან ტოვებენ რადიკალიზაციის პროცესს სხვადასხვა ფაზაში". კონკრეტულად ისლამურ რადიკალიზაციასთან დაკავშირებით, ის მიუთითებდა, რადიკალიზაციის ოთხსაფეხურიან პროცესზე: პრერადიკალიზაცია, საუბარი და იდენტიფიკაცია რადიკალურ იდეოლოგიასთან, ინდოქტრინაცია და ჯგუფური კავშირის გაზრდა და ბოლოს, ფაქტობრივი ძალადობრივი აქტივობა (იხ. სურათი #1).

<u>სურათი #1: რადიკალიზაციის განვითარების პრეხტისეული მოდელი</u>



მასკალუნაიტე (2015), თავის მხრივ, განსაზღვრავს რადიკალიზაციის ძალადობრივ ფორმას, პროცესს, რომლითაც ინდივიდი ითვისებს რწმენის სისტემას, რომელიც ამართლებს და აქტიურად უჭერს მხარს ძალადობის გამოყენებას სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად და, ასევე, იყენებს ძალადობრივ საშუალებებს პოლიტიკური მიზნებისთვის. მოცემული კვლევისთვის ვიყენებთ მაკაულისა და მოსკალენკოს (2010) განმარტებას, რომლის თანახმადაც, რადიკალიზაცია არის რწმენის ცვლილება და ქცევა იმ მიმართულებებით, რომლებიც სულ უფრო მეტად ამართლებენ ჯგუფთაშორის ძალადობას და ითხოვენ მსხვერპლს ჯგუფის დასაცავად. ისინი აღნიშნავენ, რომ რადიკალიზაცია შეიძლება გამოიხატოს, როგორც არაძალადობრივ, ასევე ძალადობრივ ქმედებებში. მოკლედ რომ ვთქვათ, რადიკალიზაცია არის პროცესების ერთობლიობა, რომლითაც ადამიანი, ონლაინ თუ სხვაგვარად, ერთვება ნებისმიერი ფორმის რადიკალურ რწმენაში. ამასთან, ლიტერატურაში ვხვდებით მტკიცებულებებს, რომ ინტერნეტი ხელს უწყობს რადიკალიზაციის მექანიზმების უმეტესობას (Baaken, & Schlegel, 2017). რადიკალურ ჯგუფებს აქვთ სხვადასხვა მოტივაცია და მიზანი. ცხრილი #1 ასახავს ამის რამდენიმე მაგალითს.

<u>ცხრილი #1: რადიკალური ჯგუფების სხვადასხვა ტიპი და მათი მთავარი მიზნები</u>

ტიპი	მთავარი მიზანი
ნაციონალისტური ან სეპარატისტული ჯგუფები	დაიკავონ და უზრუნველყონ ტერიტორია საკუთარი ჯგუფისთვის.
ექსტრემალური მემარჯვენე ჯგუფები	„თეთრი რასის“ მნიშვნელობის დაცვა, რომელსაც საფრთხეს უქმნიან ემიგრანტები და სხვა უმცირესობები.
ექსტრემალური მემარცხენე ჯგუფები	სიმდიდრის სამართლიანი განაწილების მიღწევა და კაპიტალიზმის მთავარ პრობლემად აღქმა.
ცალკეული საკითხების ჯგუფები	მათი მთავარი საზრუნავი ფოკუსირებულია ერთ თემაზე, როგორიცაა გარემო ან ცხოველთა უფლებები.
რელიგიურად მოტივირებული ჯგუფები	ისინი მიჰყვებიან თავიანთი რელიგიის ძალიან მკაცრ ინტერპრეტაციას სხვების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების გასამართლებლად.

წყარო: ავტორის კომპილაცია Doosje, Moghaddam, Kruglanski, De Wolf, Mann, & Feddes, (2016)-ს მიხედვით.

რადიკალიზაციის შესახებ ბოლოდროინდელ კვლევებში უარყოფილია მასთან დაკავშირებული რამდენიმე მითი. მაგალითად, არ არსებობს კონკრეტული ტიპის ადამიანი, რომელიც მოწყვლადია რადიკალიზაციის მიმართ და პოლიტიკური ძალადობის ჩამდენი ადამიანების უმეტესობა არ არის ფსიქიკურად დაავადებული ან საზოგადოებისგან გაუცხოებული. გარდა ამისა, რადიკალიზაცია არაა გამოწვეული მხოლოდ სიღარიბით, ჩაგვრით ან მარგინალიზებით და ექსტრემისტული მედიის ყურება, აუცილებლად არ იწვევს ექსტრემისტული შეხედულებების მიღებას ან პოლიტიკური ძალადობის ჩადენას. უფრო მეტიც, თვითრადიკალიზება იშვიათია, თვით დამწყებებისთვისაც კი, რომლებიც რადიკალიზაციას ახდენენ ინტერნეტში, საჭიროა სოციალური ინტერაქცია (მურო, 2016). გარდა ამისა, როგორც ჩანს, რადიკალიზაცია არის ეტაპობრივი პროცესი, რომელსაც ინდივიდები გადიან და არა სწრაფი პროცესი, როგორც ადამიანებს ხშირად სჯერათ (შმიდი, 2013). ინდივიდები თანდათან ითვისებენ კონკრეტული საზოგადოების საერთო იდენტობებს, გრძნობებსა თუ ინტერპრეტაციებს და რაციონალურად აყალიბებენ თავიანთ პრობლემებს, როგორც სხვების მიერ გამოწვეულ შეცდომებს, რათა გაამართლონ რადიკალური პოლიტიკური დამოკიდებულებების ან ძალადობის გამოყენება (Marwick, Clancy, & Furl, 2022). ლიტერატურის მიხედვით, სამი თანმხვედრი, მაგრამ განსხვავებული ელემენტი უბიძგებს ინდივიდებს რადიკალიზაციისკენ: 1) რადიკალური ნარატივის იდეები, რომლებიც წარმოადგენენ ფილტრს სამყაროს გასაგებად; 2) სოციოლოგიური ფაქტორები, რომლებიც აიძულებენ ინდივიდს, აითვისოს ეს რადიკალური ნარატივი; და 3) ფსიქოლოგიური ფაქტორები და მახასიათებლები, რომლებმაც შეიძლება აიძულონ ინდივიდი, გამოიყენოს ძალადობა ამ ნარატივის ხელშეწყობის ან სრულყოფის მიზნით (ბორუმი, 2011).

სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ, აუცილებელია, აღინიშნოს ორი განმარტება. პირველ რიგში, ჯგუფს ან ინდივიდს შეუძლია, ჰქონდეს რადიკალური შეხედულებები რადიკალური ქმედებების გარეშე (ძალადობრივი აქტები ან ტერორისტული თავდასხმები) (Neumann, 2013). მეორეც, რადიკალიზაცია არ უნდა აგვერიოს რეკრუტირებაში, რადგან ის ეხება იმას, რაც წინ უძღვის ინდივიდის რეალურად გაწევრიანებას რადიკალურ ან ექსტრემისტულ ორგანიზაციაში (Winter, Neumann, Meleagrou-Hitchens, Ranstorp, Vidino, & Fürst, 2020). შემდეგი ნაწილი იკვლევს იმ ფორმებს, რომლითაც რადიკალური ჯგუფები ინტერნეტს იყენებენ ინდივიდების რადიკალიზაციისთვის.

3. გზები, რომლითაც რადიკალური ჯგუფები იყენებენ ონლაინ ინსტრუმენტებს ინდივიდების რადიკალიზაციისთვის

ინტერნეტი თავისთავად არ იწვევს რადიკალიზაციას, თუმცა მას შეუძლია ხელი შეუწყოს რადიკალური იდეების გავრცელებას, საშუალებას აძლევს რადიკალური რწმენით დაინტერესებულ ადამიანებს, შექმნან დაჯგუფებები, ზრდის ამ იდეების საერთაშორისოდ წვდომას, ეხმარება ინდივიდების რეკრუტირებაში, საშუალებას აძლევს პროპაგანდის წარმოებას და გამოქვეყნებას და, შესაძლოა, გამოიყენებოდეს საჯარო ინსტიტუტებისა და სტატუს კვოს მიმართ უნდობლობის გასავრცელებლად (Weimann, 2004; Conway, 2005; Kimmage, 2008; Zelin, 2013). ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერნეტინსტრუმენტები დაკავშირებულია ძალადობასა და ტერორისტულ აქტებთან, მაგალითად, ჯილმა და სხვებმა (2017), დიდ ბრიტანეთში 223 მსჯავრდებული ტერორისტი გამოიკვლიეს და შეისწავლეს ინტერნეტის როლი ტერორისტულ საქმიანობაში. შედეგად დაასკვნეს, რომ ინტერნეტი არის ხელშემწყობი ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ძალადობრივი რადიკალიზაციისა და თავდასხმის დაგეგმვის უფრო დიდ შესაძლებლობებს.

კინგისა და ტეილორის (2011) მიხედვით, ინტერნეტი ხელს უწყობს რადიკალიზაციის პროცესს სამი განსხვავებული ფუნქციით. ესენია: იდეოლოგიური მხარდაჭერა, „ნეთვორქინგი“ და საგანმანათლებლო მასალები. თავის მხრივ, ბასტუგი, დუე და აკჩა (2020) ამტკიცებენ, რომ სოციალური მედიის პლატფორმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ონლაინ რადიკალიზაციის ოთხსაფეხურიან პროცესში: (1) ექსტრემისტული მესიჯების ხელმისაწვდომობა (მაგალითად, რელიგიური შინაარსის); (2) მგრძნობელობა და წინასწარგანწყობა (ინდივიდების/მომხმარებლების სოციალური და ფსიქოლოგიური ფონი); (3) ტერორისტული მობილიზაცია (ანუ ქმედებების განხორციელება) და (4) გაზიარება/პროპაგანდა (შეტყობინებების გაგზავნა და გამოხმაურება). გარდა ამისა, ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობამ, შესაძლოა არ იცოდეს, რომ ისინი მოიხმარენ პროპაგანდის შემცველ ან სხვა მასალებს, რომლებიც შექმნილია რადიკალიზაციისთვის ან მიმდევრების რეკრუტირებისთვის.

სისტემურმა მიმოხილვამ ცხადყო, რომ რადიკალურ ძალადობრივ ონლაინ მასალებთან წვდომა დაკავშირებულია ექსტრემისტულ ონლაინ და ოფლაინ დამოკიდებულებებთან და ასევე, პოლიტიკური ძალადობის ჩადენის რისკთან თეთრკანიან სუპრემატისტების, ნეონაცისტურ და რადიკალ ისლამისტურ ჯგუფებს შორის. უფრო მეტიც, ძალადობრივი რადიკალური მასალის აქტიური მაძიებლები პოლიტიკურ ძალადობაში ჩართვის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან, ვიდრე პასიური მაძიებლები (Hassan et al., 2018). ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის (NYPD) სადაზვერვო სამმართველოს რადიკალიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ ინტერნეტი რადიკალიზაციის პროცესის მამოძრავებელი და გამაძლიერებელია (Silber & Bhatt, 2007). უახლესი კვლევა ამტკიცებდა, რომ ინტერნეტი აჩქარებს ინდივიდუალური რადიკალიზაციის პროცესებს რამდენიმე გზით, რომლებიც მოიცავს რადიკალიზაციის მეტ შესაძლებლობებს, წარმოადგენს „ექო სივრცეს“ და ზრდის შესაძლებლობებს თვითრადიკალიზებისთვის (Von Behr, Reding, Edwards, & Gribbon, 2013).

გერმანელ ყოფილ მემარჯვენე ექსტრემისტზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინტერნეტი არის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი რადიკალური კონტრასტული საზოგადოებების ჩამოყალიბებისა თუ განვითარებისათვის, რადიკალური, ამასთანავე, ძალადობრივი იდეოლოგიების გადაცემისა და მათ პოლიტიკურ აქტივიზმად გადაქცევისთვის (Koehler, 2014). სხვა კვლევებში წარმოჩინდა, რომ ონლაინ მიწისქვეშა საზოგადოებებმა წვლილი შეიტანეს ალტ-მემარჯვენე და სხვა უკიდურესი მემარჯვენე იდეოლოგიების ზრდასა და გავრცელებაში (Hine et al., 2017; Zannettou et al., 2017). მოხსენებაში ნათქვამია, რომ კონკრეტულად ახალგაზრდების შემთხვევაში დღემდე არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც დააკავშირებს რადიკალური ჯგუფების მიერ ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენებას რეალურ ძალადობრივ რადიკალიზაციასთან (Alava, Frau-Meigs, & Hassan, 2017).

ნაშრომის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ რადიკალების მიერ ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს (Conway, 2005; Weimann, 2006). პირველი კლასიფიცირებულია, როგორც „ინსტრუმენტული გამოყენება“ და ეხება ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებას დაგეგმვის, ლოჯისტიკისა და დაზვერვისთვის (მაგ., მისამართების ძიება და ფრენების ონლაინ დაჯავშნა), სახსრების მოსაზიდად, სასწავლო სახელმძღვანელოების თუ ვიდეოების გასავრცელებლად (მაგ., ბომბების დამზადების ან იარაღის შესყიდვის შესახებ) და „ნეთვორქინგისთვის“. სხვა კლასიფიკაცია ეხება კომუნიკაციურ გამოყენებას, როგორიცაა ტექნოლოგიების გამოყენება საჯაროობისა და პროპაგანდისთვის, პოლიტიკური მხარდაჭერის შექმნისთვის, მედიისგან ყურადღების მიღებისა და ახალი მიმდევრების რეკრუტირებისთვის. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მცირე ემპირიული ცოდნა არსებობს იმ ფაქტობრივი პროცესის

შესახებ, რომლის დროსაც ხდება ინდივიდების რადიკალიზაცია ონლაინ ინტერაქციისა და მასალების მეშვეობით (Bastug, Douai, & Akca, 2020).

ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილში მითითებულია, რომ რეალურად განსხვავება ოფლაინ და ონლაინ რადიკალიზაციის პროცესებს შორის არამოსახერხებელია. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ონლაინ რადიკალიზაცია არის წინააღმდეგობრივი და არ წარმოადგენს რეალობას. უფრო მეტიც, ის ქმნის ,,ცრუ დიქოტომიას", რომელიც განასხვავებს რადიკალიზაციის ონლაინ პროცესებს ოფლაინში მიმდინარე პროცესებისგან (Hoskins & O'Loughlin 2009; Gill et al. 2017). ამ თვალსაზრისით, ონლაინ სამყარო რადიკალიზაციის ხელშემწყობად უფრო ითვლება, ვიდრე ძალადობრივი ქცევის ინიციატორად ან გამომწვევად.

4. ონლაინ რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკა და სტრატეგიები

ონლაინ რადიკალიზაციის პროცესი მრავალმხრივი ფენომენია, რომლის დროსაც ინტერნეტი ისეთი ინსტრუმენტების საშუალებით, როგორიცაა სოციალური მედია, გამოიყენება, როგორც სტრატეგიული ინსტრუმენტი რადიკალური ქცევის წაქეზებისთვის. ნეუმანმა (2013) შემდეგნაირად ჩამოაყალიბა პრევენციასა და რადიკალიზაციის შემცირებისკენ მიმართული ზომები: პირველი - ძალისხმევა, რომელიც მიმართულია რადიკალური მასალის მიწოდების შემცირებაზე, მეორე - ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ რადიკალურ მესიჯებზე მოთხოვნის შემცირებას და მესამე - ონლაინ კონტენტისა და ინტერაქციის გამოყენებას ინფორმაციის შეგროვების, დაზვერვისა და გამოძიების მიზნებისთვის. თავის მხრივ, ზომები შეიძლება დაიყოს თავდაცვით (ან რეაქტიულ) და შეტევით (ან პროაქტიულ) ანალიზებად. რამდენიმე ქვეყანამ, განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, დააარსეს სპეციალიზებული განყოფილებები სტრატეგიული კომუნიკაციების ინიციატივების მართვის მიზნით, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ონლაინ ბრძოლის მიმართულებით (Briggs, & Feve, 2013). ამ ქვეთავში წარმოდგენილია ონლაინ რადიკალიზაციის წინააღმდეგ ძირითადი ინსტრუმენტები და სტრატეგიები.

4.1. რადიკალურ კონტენტზე მოთხოვნის შემცირება

სოციალურ მედიასა და ინტერნეტში რადიკალიზაციის შეჩერების ერთ-ერთი უპირველესი მეთოდი არის ონლაინ რადიკალურ იდეებთან პირდაპირ თუ ირიბად ბრძოლა. სხვადასხვა ავტორმა დაადგინა, რომ ონლაინ რადიკალური ჯგუფების შესაძლებლობების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა არის რადიკალიზაციის მესიჯბოქსზე რეალური მოთხოვნის შემცირება. ეს შეიძლება განხორციელდეს ონლაინ ექსტრემისტული ნარატივების დისკრედიტაციის, წინააღმდეგობისა და დაპირისპირების გზით.

პროაქტიური სტრატეგიები, როგორც წესი, ორ ძირითად ფორმას იღებენ: ონლაინ კონტრნარატივები და სახალხო ანტიპროპაგანდისტული ინიციატივები. ცნება „კონტრნარატივი“ გულისხმობს ოპერაციების მრავალფეროვნებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიზანსა და სტრატეგიას, მათ შორის სახალხო დიპლომატიას და ძალადობრივი რადიკალური თუ ექსტრემისტული რწმენების უარყოფისკენ მიმართულ ინიციატივებს. ამ სტრატეგიებში ცენტრალური საკითხია ის, რომ კონტრ-ნარატივის შინაარსი უნდა იყოს მიმზიდველი და უზრუნველყოს სწორი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუშლის ინდივიდებს რადიკალური ჯგუფისადმი მიზიდულობაში. ზეიგერი და გიტი (2020) ამტკიცებენ, რომ ეს შეიძლება განხორციელდეს სამი ძირითადი გზით: პირველი, ექსტრემისტული არგუმენტების დეკონსტრუქციით (მათი ლოგიკის სისუსტეზე მითითებით); მეორე, მთელი ჯგუფის სანდოობის შელახვით; და ბოლოს, ალტერნატივის მიწოდებით, რომლიც ხაზს უსვამს მოქმედების განსხვავებულ გზას. ბრიგსი და ფევე (2013; 16) მიუთითებენ, რომ: „კონტრნარატივები მოიცავენ სტრატეგიების ფართო სპექტრს სხვადასხვა მიზნითა და გზავნილით, მათ შორის ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიების დაყოფას ინტელექტუალური ჩარჩოს დაშლის გზით; ძალადობრივი ექსტრემისტული კონტენტის გამავრცელებლების დაცინვით, ან სანდოობის/ლეგიტიმურობის შელახვის მცდელობით; ხაზგასმით, თუ რამდენად უარყოფითად მოქმედებენ ექსტრემისტული აქტივობები იმ ჯგუფებზე რომლებსაც, მათი მტკიცებით, წარმოადგენენ იმის დემონსტრირებით, თუ როგორ არ შეესაბამება მათ მიერ გამოყენებული საშუალებები მათ რწმენას ან დასახული მიზნების მისაღწევად ეფექტურობის ეჭვქვეშ დაყენებით“.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის სტრატეგიებმა გაითვალისწინონ კონკრეტული სამიზნე აუდიტორია ადგილობრივ კონტექსტში, რადგან სანდოობა, როგორც დასტურდება, აუცილებელია კონტრ-სტრატეგიული საკომუნიკაციო კამპანიებისთვის (Winter, Neumann, Meleagrou-Hitchens, Ranstorp, Vidino, & Fürst, 2020). მაგალითად, აშშ-ში დაფუძნებულმა კარტერის ცენტრმა გამოაქვეყნა დეტალური ანგარიშები იმაზე, თუ როგორ შეიძლება ისლამური სახელმწიფოს გამოწვევა თეოლოგიური არგუმენტაციის გზით (კარტერის ცენტრი, 2016). 2011 წელს, ლონდონის სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტის, გუგლ იდეასა (Google Ideas) და ჯენ ნექსთ ფონდის (Gen Next Foundation) პარტნიორობით დაარსდა ძალადობრივი ექსტრიმიზმის წინააღმდეგ (Against Violent Extremism (AVE)). AVE არის ყოფილი ექსტრემისტების, ძალადობას გადარჩენილების და დაინტერესებული პირების გლობალური ქსელი საჯარო და კერძო სექტორებიდან, რომლებიც ერთად მუშაობენ ექსტრემიზმის ყველა ფორმის დასაძლევად. ეს ქსელი უპირატესად კონტრ-ნარატიული პროექტია და მისი მთავარი მიზანია, გააძლიეროს ყოფილი ექსტრემისტებისა და გადარჩენილების ხმა, როგორც ეფექტური გზა რადიკალიზაციის წინააღმდეგ (Briggs & Feve, 2013).

სტრატეგიები შეიძლება ფოკუსირებული იყოს პოზიტიური და რადიკალური ჯგუფების ალტერნატიული მესიჯების პოპულარიზაციაზე, რომლებიც ცნობილია, როგორც კონტრშეტყობინებები. კონტრშეტყობინებების მიზანს წარმოადგენს იდეების გავრცელება, რომლებიც მიმართულია რადიკალური მესიჯების მიმზიდველობის ხელის შეშლისკენ და მოიცავს მაგალითად, პოზიტიური იდენტობების შექმნას და სოციალური ერთობის გაძლიერებას. ამ ტიპის მესიჯებს, როგორც წესი, აქვთ ორი ფორმა. ერთი მხრივ, მათ შეუძლიათ, შეარყიონ რადიკალური მესიჯების სანდოობა, მეორე მხრივ, უზრუნველყონ პოზიტიური ალტერნატივები, რომლებიც ებრძვიან რადიკალურ იდეოლოგიას. გარდა ამისა, ალტერნატიულ ნარატივებს შეუძლიათ შესთავაზონ არაძალადობრივი ალტერნატივა, რომელიც ეხება საზოგადოების პრობლემებს და რადიკალიზაციის გამომწვევ მიზეზებს. ვებსაიტები, ბლოგები, ვიდეოები და ონლაინ სოციალური მედიის სხვა ფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ შეტყობინებების გასავრცელებლად. მიუხედავად ამისა, უშუალოდ რადიკალურ ონლაინ პროპაგანდასთან დაპირისპირების ყველაზე მყისიერი გზა, ვირტუალურ ფორუმებზე გადასვლა და რეალურ და პოტენციურ რადიკალურ დისკუსიაში ჩართვაა, იმ ვარაუდით, რომ ეს იდეები ემყარება სიცრუესა და შეთქმულების თეორიებს (Neuman, 2013).

ამ სტრატეგიებს გარკვეული გავლენა აქვთ. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, შეზღუდულია და ბევრ შემთხვევაში განიცდიან დაფინანსების ნაკლებობას. პოლიტიკის ეს სისუსტე ხელს უშლის მათ, მიაღწიონ უფრო დიდ აუდიტორიას და ჰქონდეთ გაცილებით დიდი გავლენა, მათ შორის ონლაინ სივრცეში. (Alava, Frau-Meigs, & Hassan, 2017). უფრო მეტიც, როგორც ხშირად ხდება, უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, რესურსების ნაკლებობა ზღუდავს ასეთი პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას და ახალ გამოწვევებსა თუ მიმდინარე პროცესზე მორგებას (Croci, Laycock & Chainey, 2022).

კიდევ ერთი, კარგად ცნობილი სტრატეგია არის შესაძლებლობების ამაღლება და ჯგუფების აღჭურვა გარკვეული უნარებითა თუ ცოდნით, რათა შექმნან მიმზიდველი მესიჯები და გაავრცელონ ისინი ონლაინ რადიკალიზაციისკენ მიდრეკილ ადამიანებში. მთავრობამ უნდა მიაწოდოს მშობლებს, მასწავლებლებს და საზოგადოების ლიდერებს ინფორმაცია ონლაინ რადიკალიზაციის საშიშროების შესახებ, რათა ფაქტის წინაშე აღმოჩენის შემთხვევაში, მათ შეძლონ გაცნობიერება, შესაბამის ორგანოებთან დაკავშირება და მოქმედება. ფორმალური განათლების სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმის უზრუნველყოფაში, რომ ინდივიდებს შეეძლოთ, განასხვავონ სხვადასხვა სახის სტრატეგია, რომლებსაც რადიკალური ჯგუფები იყენებენ თავიანთი გზავნილების გასავრცელებლად. როგორც ასეთი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რადიკალიზაციაზე, განსაკუთრებით ძალადობრივ აქტივობებზე, განათლების სექტორის რეაგირების გაძლიერებას. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორებიცაა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, პრევენციის

მიზნით მასწავლებლები და სხვა პედაგოგები გადიან ტრენინგს, რათა ამოიცნონ ონლაინ რადიკალიზაციის ადრეული ნიშნები მათ მოსწავლეებში (Alava, Frau-Meigs, & Hassan, 2017). ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეროვნულმა კონტრტერორისტულმა ცენტრმა (NCTC)[1] შეიმუშავა ინფორმირებულობის ბრიფები, რომლებიც გამოიყენება მრგვალ მაგიდებსა და შეხვედრებზე ადგილობრივ თემებთან (Neuman, 2013). გარდა ამისა, კერძო სექტორს, განსაკუთრებით სოციალურ მედიას და ტექნოლოგიურ კომპანიებს, შეუძლიათ რესურსები გამოყონ საზოგადოების ციფრული და მედია წიგნიერების უნარების გაძლიერების მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით ინტერნეტსერვისის პროვაიდერებმა უნდა გამოყონ საკმარისი ფულადი რესურსი ჩატებისა (კომპიუტერულ ქსელში შეტყობინების გაცვლის საშუალება) და ონლაინ ფორუმების მართვისთვის და, ასევე, უნდა განაახლონ მშობლებისთვის ფილტრაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ექსტრემიზმისთვის ღიად მხარდამჭერ ვებსაიტებს. საჯარო და კერძო თანამშრომლობა და ინკლუზიური მიდგომა მნიშვნელოვანია პრევენციული ძალისხმევის გაძლიერებაში.

ყველაზე გრძელვადიანი სტრატეგია ონლაინ რადიკალურ პროპაგანდაზე მოთხოვნის შესამცირებლად არის მედიაწიგნიერების გაუმჯობესება და მისი ხელშეწყობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ და მხარი დაუჭირონ ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე ტრენინგ პროგრამებს, რომლებიც ასწავლიან ადამიანებს, როგორ გამოიყენონ და ხელი შეუწყონ მედიაწიგნიერებას და გააძლიერონ თემების შესაძლებლობები. მაგალითად, მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ ინტერნეტის მომხმარებლებს, როგორ ამოიცნონ, რომ ვირტუალური ინფორმაცია არის მანიპულაციური ან შეცდომაში შემყვანი. მთავრობები მხარს უჭერენ სხვადასხვა პროექტს, რომელიც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ტრენინგების ჩატარებას სოციალურ მედიასა და კომუნიკაციებთან დაკავშირებით. ამ მიზნით შემუშავებულია ციფრული წიგნიერების მთელი რიგი ინსტრუმენტები, თუმცა მასალა ჯერ კიდევ მწირია (Williams, Evans, Ryan, Mueller, & Downing, 2021). ეს ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს კურსებს. კურსების ფარგლებში ახალგაზრდებს ასწავლიან მედიის კრიტიკულად გამოყენებას, რაც ეხმარება ამ შინაარსის წყაროების შეფასებას. არასანდო ინფორმაციის სანდოსგან განსხვავების საშუალებები კიდევ ერთი მაგალითია რადიკალურ ჯგუფებსა და აქტივობებში ჩართვის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, შესაბამის ადგილობრივ თემებთან და არასამთავრობო აქტორებთან გაზრდილი თანამშრომლობა და აქტივობები მნიშვნელოვანი ნაბიჯია რადიკალურ კონტენტზე მოთხოვნის შესამცირებლად. გონივრულია, რომ მთავრობებმა აღიარონ მათი როლი ანტირადიკალური გეგმებისა და სტრატეგიების განხორციელების ეფექტურობაში, რადგან ბევრ ვითარებაში მათ

[1] მეტი ინფორმაციისთვის იხ: https://www.dni.gov/index.php/nctc-home.

უკეთ ესმით ადგილობრივი დინამიკა. მაგალითად, რადიკალიზაციის ცნობიერების ამაღლების ქსელის პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2021 წელს, არის ევროკავშირის მასშტაბური ქსელი,[2] რომელიც აკავშირებს პრაქტიკოსებსა და საველე ექსპერტებს, და მოიცავს სოციალურ, ასევე, ჯანდაცვის მუშაკებს, მასწავლებლებს, ციხის პერსონალს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მსხვერპლთა ჯგუფებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სამართალდამცავებს, ანტიტეროისტული საქმიანობის სპეციალისტებს და აკადემიკოსებს. ეს ექსპერტები ერთმანეთს უცვლიან იდეებს, გამოცდილებას, კარგ პრაქტიკას, ამასთანავე, გასცემენ რეკომენდაციებს, როგორ უნდა მოხდეს რადიკალიზაციის ყველა ფორმის დაძლევა, იქნება ეს ონლაინ თუ ოფლაინ.

ანალიზის კიდევ ერთი დონე არის ონლაინ კონტენტისა და ინტერაქციების გამოყენება ინფორმაციის შეგროვების, დაზვერვისა და გამოძიების მიზნებისთვის. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ მთავრობებმა უფრო სერიოზულად უნდა მიიღონ ეს სტრატეგია და გამოიყენონ ინტერნეტი დაზვერვის მიზნებისთვის, რადგან ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი ონლაინ რადიკალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. სოციალური ქსელის ანალიზი[3] განსაკუთრებით სასარგებლო ინსტრუმენტია ამ მიზნების მისაღწევად, რადგან ის გვეხმარება იმის გაგებაში, თუ ვინ რომელი ქსელის ნაწილია და როგორ ურთიერთობენ ინდივიდები ერთმანეთთან.

4.2. რადიკალური შინაარსის მიწოდების შემცირება

სოციალურ მედიასა და ინტერნეტში რადიკალიზაციის თავიდან აცილების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი არის ტექნოლოგიური ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენება რადიკალური ან ექსტრემისტული ინფორმაციისა და პროპაგანდის ამოღების, ფილტრაციისა და აკრძალვის მიზნით. ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ ინტერნეტი არ უნდა ცდებოდეს კანონის ფარგლებს. ნებისმიერი ეროვნული კანონი, რომელიც ეხება კომუნიკაციის სხვა ინსტრუმენტს (მაგალითად, გაზეთებსა და რადიოს) ასევე უნდა აღსრულდეს კიბერსივრცეში. ეს ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს საკანონმდებლო და პოლიტიკის ქმედებებს, ფილტრაციას, სკრინინგს და ექსტრემისტული ინფორმაციის ამოღებას, კონტენტის და სოციალური მედიის პლატფორმებზე წვდომის დაბლოკვას. გარდა ამისა, მთავრობებმა დააწესეს მკაცრი მოთხოვნები კერძო კორპორაციების მიმართ, რათა მათ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ ექსტრემისტურ ქსელებს, რომლებიც არიან მათ პლატფორმებზე, ძირითადად ანგარიშების შეჩერებით და მასალების ცენზურით (ფიორეტი, 2017).

---

[2] მეტი ინფორმაციისთვის იხ: https://home-affairs.ec.europa.eu/networks/ran-policy-support_en.

[3] სოციალური ქსელების ანალიზი ცდილობს გამოააშკარაოს ქსელები და მათი წევრები. ინსტრუმენტს აქვს ორი ძირითადი აქცენტი: აქტორები და მათ შორის ურთიერთობა კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში.

სხვა ინსტრუმენტები მოიცავს საკანონმდებლო ზომებს და კანონებს, რომლებიც ადგენენ რეგულაციებს ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებისთვის. მაგალითად, გერმანიაში დაწესებულია ჯარიმები იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ავრცელებენ სიძულვილის ენას და ყალბ ახალ ამბებს ინტერნეტით (5 მილიონ ევრომდე ფიზიკური პირებისთვის). გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებმა უნდა წაშალონ პოსტები, რომლებიც შეიცავს სიძულვილის ენას ან სხვა კრიმინალურ მასალას იდენტიფიცირებიდან 24 საათის განმავლობაში (Miller, 2017).[4] 2019 წელს ევროპარლამენტმა მიიღო კანონმდებლობა სახელწოდებით „ტერორისტული შინაარსის კონტენტის ონლაინ გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა“, რომელიც შეეხება სოციალური მედიის პლატფორმების კონტენტის რეგულირებასა და შესაბამისი კონტენტის წაშლას. ამ რეგულაციის საფუძველზე, ტერორისტული და რადიკალური კონტენტი უნდა მოიხსნას ერთი საათის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ის ინტერნეტში იქნება იდენტიფიცირებული და გავრცელდება ონლაინ პლატფორმებზე, რომლებიც სთავაზობენ სერვისებს ევროკავშირში. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მხოლოდ რადიკალიზაციის წინააღმდეგ საკანონმდებლო მიდგომები რამდენიმე სირთულეს აწყდება. ვინაიდან პოლიტიკოსების უმეტესობა არ არის ტექნოლოგიების ექსპერტი, ზოგჯერ შეიძლება არსებობდეს არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ინტერნეტი და სოციალური მედიის კომპანიები და რა ახალი ტექნოლოგიებია ხელმისაწვდომი (Zeiger & Gyte, 2020). ცენტრალურად, ამ მეთოდების მთავარი ნაკლი არის ის, რომ ისინი ვრცელდება მხოლოდ ლოკალურად გაშვებულ ვებსაიტებზე; არცერთ მთავრობას არ აქვს უფლება წაშალოს ვებსაიტები, რომლებიც სხვა ქვეყნებშია. ამასთან, იმის გამო, რომ რადიკალური ინფორმაციისა და დისკურსის მხოლოდ მცირე ნაწილია რეალურად უკანონო, ის ხშირად დაშვებულია კერძო სექტორის წესებისა და პირობების მიხედვით.

მთავრობები, ასევე, პირდაპირ ბლოკავენ სოციალური მედიის არხებს და ექსტრემისტული ან ისეთი ჯგუფების პლატფორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ რადიკალიზაციას. ეს პოლიტიკა გულისხმობს ცალკეული ვებსაიტების და სოციალური მედიის გვერდების დაბლოკვიდან დაწყებული მთლიანი სოციალური მედიის პლატფორმების დაბლოკვას. რადიკალური შინაარსის გავრცელების თავიდან აცილების კიდევ ერთი გზა არის ცალკეული პოსტების ან ვებსაიტების წაშლა თავად ტექნოლოგიური კომპანიების ან მესამე მხარის მიერ. მაგალითად, ბრიტანეთის მთავრობამ დააფუძნა ანტიტერორისტული ინტერნეტ რეფერალური განყოფილება (CTIRU), რომელსაც მართავს მეტროპოლიტენი და პასუხობს საზოგადოების, პოლიციისა და სადაზვერვო სააგენტოების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. CTIRU დაკომპლექტებულია ექსპერტთა გუნდით და სამეფო მსჯავრდების თანამშრომლებით, რომლებიც იძიებენ კანონის, კერძოდ,

[4] მეტი ინფორმაციისათვის იხ: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52019AP0421.

ტერორიზმის კანონდებლობის, დარღვევაში ეჭვმიტანილ ვებგვერდებს.[5] 2019 წლისთვის ორგანიზაციამ უზრუნველყო 310 000-ზე მეტი ტერორისტული მასალის ამოღება. მომწოდებელი მხარის ლიკვიდირებისთვის, სხვა სტრატეგიები მოიცავს კიბერშეტევების გამოყენებას ვებსაიტების წასაშლელად, ვებსაიტის მფლობელების ან დამფუძნებლების წინააღმდეგ დევნას და კერძო სექტორის პლატფორმებთან თანამშრომლობას რადიკალური შინაარსის კონტენტის წაშლის ან დამალვის მიზნით (რაც ურთულებს ადამიანებს რადიკალური შინაარსის ინფორმაციის პოვნას ძიების შედეგების მანიპულირებით ან შეთავაზებული ბმულების ან ვებგვერდების წაშლით) (Neuman, 2013).

ამ ტიპის სტრატეგიები განიხილება, როგორც პრობლემის მოკლევადიანი გადაჭრის გზა, რადგან რადიკალიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ სწრაფად გამოიყენონ ახალი პლატფორმები და საკომუნიკაციო არხები. გარდა ამისა, არსებობს მნიშვნელოვანი შეზღუდვები ამგვარი საპასუხო მოქმედების ეფექტურობაზე, ახალი ინფორმაციის ატვირთვის ან მისი ცვლილების სისწრაფის და სამართალდამცავი ორგანოების შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით (Briggs & Feve, 2013). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოციალურ მედიაში წვდომის ან კონტენტის გამოქვეყნების დაბლოკვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა. უფრო მეტიც, ეს არის სარისკო გზა მთავრობებისთვის, რადგან პარამეტრები, თუ რა არის მისაღები და რა არა, შეიძლება შეიცვალოს პოლიტიკური კუთვნილების ან ხელისუფლებაში მყოფი მთავრობის მიხედვით. მაგალითად, კონტენტის დაბლოკვა გამოიყენეს პოლიტიკური ოპოზიციური ჯგუფების იდეების გავრცელების თავიდან ასაცილებლად (Zeiger & Gyte, 2020).

დასასრულ, ლიტერატურა აჩვენებს, რომ ონლაინ რადიკალიზაციის მომწოდებელი წყაროების შემცირების მცდელობებს არ აქვს დადასტურებული ეფექტურობა. მაგალითად, UNESCO-ს ბოლო მოხსენებაში (2017) გამოტანილია დასკვნა, რომ დღემდე არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური მედიის (მაგ., Facebook ან Twitter) თვითრეგულირების ზომები ხელს უწყობს ძალადობრივი რადიკალიზაციის შედეგების შემცირებას ახალგაზრდებში. ასევე, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ შესაძლებლობას. გარდა ამისა, ამ ტიპის სტრატეგიები ეწინააღმდეგება დაზვერვის აუცილებლობას, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს რადიკალური ჯგუფების სამართლებრივი დევნისთვის და ძალადობის შესაძლო აქტების თავიდან ასაცილებლად (Neuman, 2013). მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტში ექსტრემისტული კონტენტის მიწოდების შემცირება ფულად ხარჯებთან არის დაკავშირებული და კონტრპროდუქტიული შეიძლება იყოს, რადგან სტრატეგიამ შეიძლება საზიანო

[5] ტერორიზმის აქტი (2000) არის ბრიტანეთში ანტიტერორისტული კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი. სხვა შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს: ანტიტერორიზმის, დანაშაულისა და უსაფრთხოების აქტს (2001), ტერორიზმის აქტს (2006) და კონტრტერორიზმის აქტს (2008).

ეფექტი მოახდინოს განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლებასთან, ინფორმაციის თავისუფლებასთან, კონფიდენციალურობასა და შეკრების უფლებასთან მიმართებაში (Alava, Frau-Meigs & Hassan, 2017). ამ ტიპის სტრატეგიები უნდა გამოიყენონ, როგორც უკანასკნელი საშუალება და მხოლოდ კონკრეტული მოკლევადიანი მიზნებით.

5. დასკვნა

რადიკალიზაცია მიემართება ექსტრემისტული იდეოლოგიებისა და რწმენის განვითარების პროცესს, რომელიც სულ უფრო მეტად ამართლებს ძალადობას სხვა ჯგუფების ან სიმბოლური სამიზნეების მიმართ, მათი ქცევის შესაცვლელად და რადიკალური ჯგუფის პოლიტიკური ამბიციების წინსვლის მიზნით. რადიკალიზაციის მაღალი დონე სულაც არ ნიშნავს ძალადობრივი ქცევის მაღალ დონეს ან საერთოდ რაიმე ფიზიკურ ძალადობრივ ქცევას. მკვლევრები, როგორც წესი, თანხმდებიან, რომ რადიკალიზაცია არის თანდათანობითი პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ, ხდება ონლაინ და ოფლაინ პრაქტიკის კომბინაციით. პოლიტიკის შემქმნელები ისევ ხშირად ცდილობენ ონლაინ და ოფლაინ სფეროების სწორად დაყოფას, მაგრამ მეცნიერულმა კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი გამიჯვნა, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია. ფაქტია, რომ ყველაზე ეფექტური სტრატეგია არ არის რადიკალიზმთან ბრძოლა ონლაინ, მისი ოფლაინ გამოვლინებების გააზრებისა და მათთან დაპირისპირების მცდელობის გარეშე. საჭიროა შემდგომი შესწავლა და კვლევა, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს ონლაინ, ოფლაინ პლატფორმები და უბიძგებს ინდივიდებს რადიკალიზაციისკენ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რადიკალური ჯგუფები იყენებდნენ ინტერნეტ ინსტრუმენტებს და სოციალურ მედიას, რათა მოეზიდათ და ჩაერთოთ ინდივიდები. რადიკალური ჯგუფები განსაკუთრებით დახელოვნებულნი გახდნენ ახალი მედიის გამოყენებაში და ისინი ეფექტურად იყენებენ ინტერნეტსა და სოციალურ მედიას, როგორც პროპაგანდის მიწოდებისა თუ გავრცელების არხებს. რადიკალური პროპაგანდა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოწყვლადთა რადიკალიზაციას, არამედ რადიკალიზაციის გზაზე მყოფთა შთაგონებას ძალადობრივი ქმედებებისკენ. ინტერნეტი შეტყობინებების ფორუმების, სოციალური ქსელის საიტების, სტრიმინგის სერვისების, სტატიკური ვებსაიტების და დაშიფრული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით რადიკალურ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, კოორდინირება გაუწიონ მოქმედებებს, გაავრცელონ პროპაგანდა, აიყვანონ ახალი წევრები და გაცვალონ სასწავლო მასალები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვებსაიტი ცდილობს, თავიდან აიცილოს ან წაშალოს თეთრი სუპრემაცისტების და სხვა ექსტრემისტული ინფორმაცია მათი საიტებიდან, არათანამიმდევრული აღსრულების პრაქტიკა და უფრო რბილი ალტერნატიული ტექნოლოგიური ვებსაიტების ხელმისაწვდომობა, საშუალებას აძლევს ამ მოძრაობებს, გააგრძელონ ონლაინ ღია კოორდინაცია.

როგორც პირველი ნაბიჯი რადიკალური ჯგუფების გავლენის შესამცირებლად, მთავრობამ უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს რადიკალურ ონლაინ კონტენტზე მოთხოვნის შემცირებაში, მაგალითად, ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და განათლების წახალისებით. მთავრობებმა, ასევე, უნდა შეიმუშაონ სტრატეგიული კომუნიკაციების გეგმა, რომელიც ეხება ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში რადიკალური პროპაგანდის თავიდან აცილების საკითხს. რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ და სოციალურ დონეებს იმის შესახებ, თუ როგორ ხდებიან ინდივიდები რადიკალები. გარდა ამისა, მათ, ასევე, უნდა იფიქრონ ცენტრალიზებული ოფისების შექმნაზე ამ სტრატეგიის მართვისა და ორგანიზებისთვის. რადიკალიზმის საფრთხის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის გარდა, მთავრობები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი პოზიციები, ასევე პოლიტიკა მკაფიოდ არის გამოხატული და მიმართული შესაბამის აუდიტორიასა თუ კონტექსტზე.

როგორც წინამდებარე ანგარიშმა აჩვენა, მთავრობის ქმედებების სანდოობა ცენტრალურია კონტრსტრატეგიული საკომუნიკაციო კამპანიებისთვის. ამ თვალსაზრისით, სამთავრობო სტრატეგიები განსაკუთრებით ეფექტური იქნება, თუ ისინი ყურადღებას გაამახვილებენ კონკრეტულ თემებთან ურთიერთობების დამყარებაზე, რასაც შეუძლია პირდაპირ უარყოს ყალბი ინფორმაცია. საბოლოო ჯამში, საჯარო დაწესებულებებმა უნდა დაამყარონ და გააღრმავონ პარტნიორობა, თანამშრომლობა კერძო სექტორთან. ხშირ შემთხვევაში, ამ კომპანიებს უკავიათ სტრატეგიული ადგილი ონლაინ რადიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით ისეთ სწრაფად ცვალებად და განვითარებად გარემოში, როგორიც ინტერნეტია.

ბიბლიოგრაფია

Alava, S., Frau-Meigs, D., & Hassan, G. (2017). Youth and violent extremism on social media: mapping the research. UNESCO Publishing.

Baaken, T., & Schlegel, L. (2017). Fishermen or swarm dynamics? Should we understand jihadist online-radicalization as a top-down or bottom-up process?. Journal for Deradicalization, (13), 178-212.

Bastug, M. F., Douai, A., & Akca, D. (2020). Exploring the "demand side" of online radicalization: Evidence from the Canadian context. Studies in Conflict & Terrorism, 43(7), 616-637.

Berzonsky, M. D., Cieciuch, J., Duriez, B., & Soenens, B. (2011). The how and what of identity formation: Associations between identity styles and value orientations. Personality and Individual differences, 50(2), 295-299.

Bittner, E. (1963). Radicalism and the organization of radical movements. American Sociological Review, 928-940.

Borum, R. (2011). Radicalization into violent extremism I: A review of social science theories. Journal of strategic security, 4(4), 7-36.

Bötticher, A. (2017). Towards academic consensus definitions of radicalism and extremism. Perspectives on terrorism, 11(4), 73-77.

Briggs, R., & Feve, S. (2013). Review of programs to counter narratives of violent extremism

Conway, M. (2012). From al-Zarqawi to al-Awlaki: The emergence of the Internet as a new form of violent radical milieu. Combating Terrorism Exchange, 2(4), 12-22.

Correa, D., & Sureka, A. (2013). Solutions to detect and analyze online radicalization: a survey. arXiv preprint arXiv:1301.4916.

Croci, G., Laycock, G., & Chainey, S. (2023). A realistic approach to policy formulation: the adapted EMMIE framework. Policy Studies, 44(4), 433-453.

Doosje, B., Moghaddam, F. M., Kruglanski, A. W., De Wolf, A., Mann, L., & Feddes, A. R. (2016). Terrorism, radicalization and de-radicalization. Current Opinion in Psychology, 11, 79-84.

Fioretti, Julia. 2017. Social Media Giants Step Up to Join Fight Against Extremist Content. Reuters, 26 June. https://www.reuters.com/article/us-internet-extremism/social-media-giants-step-up-joint-fight-against-extrem-ist-content-idUSKBN19H20A.

Frissen, T. (2021). Internet, the great radicalizer? Exploring relationships between seeking for online extremist materials and cognitive radicalization in young adults. Computers in Human Behavior, 114, 106549.

Galland, O., & Muxel, A. (2020). Radicalism in Question. In Radical Thought among the Young: A Survey of French Lycée Students (pp. 1-23). Brill.

Gill, P., Corner, E., Conway, M., Thornton, A., Bloom, M., & Horgan, J. (2017). Terrorist use of the Internet by the numbers: Quantifying behaviors, patterns, and processes. Criminology & Public Policy, 16(1), 99-117.

Hassan, G., Brouillette-Alarie, S., Alava, S., Frau-Meigs, D., Lavoie, L., Fetiu, A., ... & Sieckelinck, S. (2018). Exposure to extremist online content could lead to violent radicalization: A systematic review of empirical evidence. International journal of developmental science, 12(1-2), 71-88.

Hine, G., Onaolapo, J., De Cristofaro, E., Kourtellis, N., Leontiadis, I., Samaras, R., ... & Blackburn, J. (2017, May). Kek, cucks, and god emperor trump: A measurement study of 4chan's politically incorrect forum and its effects on the web. In Proceedings of the International AAAI Conference on Web and Social Media (Vol. 11, No. 1, pp. 92-101).

Hoffman, B. (1998). Inside Terrorism New York. NY: Columbia University Press [Google Scholar].

Kimmage, D. (2010). Al-Qaeda central and the internet. March, Washington DC: New America Foundation.

King, M., & Taylor, D. M. (2011). The radicalization of homegrown jihadists: A review of theoretical models and social psychological evidence. Terrorism and political violence, 23(4), 602-622.

Koehler, D. (2014). The radical online: Individual radicalization processes and the role of the Internet. Journal for Deradicalization, (1), 116-134.

Marwick, A., Clancy, B., & Furl, K. (2022). Far-Right online radicalization: A review of the literature. The Bulletin of Technology & Public Life.

Marwick, A., Clancy, B., & Furl, K. (2022). Far-Right online radicalization: A review of the literature. The Bulletin of Technology & Public Life.

Maskaliūnaitė, A. (2015). Exploring the theories of radicalization. International Studies: Interdisciplinary Political and Cultural Journal (IS), 17(1), 9-26.

McCauley, C., & Moskalenko, S. (2010). Recent US thinking about terrorism and counterterrorism: Baby steps towards a dynamic view of asymmetric conflict. Terrorism and Political Violence, 22(4), 641-657.

Miller, J. (2017). Germany votes for 50m euro social media fines. British Broadcasting Corporation News.

Muro, D. (2016). What Does Radicalisation Look Like? Four visualisations of socialisation into violent extremism. Notes internacionals CIDOB, 163, 1-5.

Neumann, P. R. (2013). Options and strategies for countering online radicalization in the United States. Studies in Conflict & Terrorism, 36(6), 431-459.

Pauwels, L., & Schils, N. (2016). Differential online exposure to extremist content and political violence: Testing the relative strength of social learning and competing perspectives. Terrorism and Political Violence, 28(1), 1-29.

Precht, T. (2007). Home grown terrorism and Islamist radicalisation in Europe. Retrieved on, 11.

Sageman, M. (2011). Leaderless jihad: Terror networks in the twenty-first century. University of Pennsylvania Press.

Schmid, A. P. (2013). Radicalisation, de-radicalisation, counter-radicalisation: A conceptual discussion and literature review. ICCT research paper, 97(1), 22.

Schuurman, B., & Taylor, M. (2018). Reconsidering radicalization: Fanaticism and the link between ideas and violence. Perspectives on Terrorism, 12(1), 3-22.

Sedgwick, M. (2010). The concept of radicalization as a source of confusion. Terrorism and political violence, 22(4), 479-494.

Silber, M. D., Bhatt, A., & Analysts, S. I. (2007). Radicalization in the West: The homegrown threat (pp. 1-90). New York: Police Department.

Von Behr, I., Reding, A., Edwards, C., & Gribbon, L. (2013). Radicalisation in the digital era. The use of the internet in, 15.

Weimann, G. (2004). www. terror. net: how modern terrorism uses the Internet (Vol. 31). United States Institute of Peace.

Weimann, G. (2006). Terror on the Internet: The new arena, the new challenges. US Institute of Peace Press.

Whittaker, J. (2022). Rethinking online radicalization. Perspectives on Terrorism, 16(4), 27-40.

Wiktorowicz, Q. (2005). Radical Islam rising: Muslim extremism in the West. Rowman & Littlefield Publishers.

Williams, H. J., Evans, A. T., Ryan, J., Mueller, E. E., & Downing, B. (2021). The Online Extremist Ecosystem: Its Evolution and a Framework for Separating Extreme from Mainstream. RAND.

Winter, C., Neumann, P., Meleagrou-Hitchens, A., Ranstorp, M., Vidino, L., & Fürst, J. (2020). Online extremism: research trends in internet activism, radicalization, and counter-strategies. International Journal of Conflict and Violence (IJCV), 14, 1-20.

Zannettou, S., Caulfield, T., De Cristofaro, E., Kourtelris, N., Leontiadis, I., Sirivianos, M., ... & Blackburn, J. (2017, November). The web centipede: understanding how web communities influence each other through the lens of mainstream and alternative news sources. In Proceedings of the 2017 internet measurement conference (pp. 405-417).

Zeiger, S., & Gyte, J. (2020). Prevention of Radicalization on Social Media and the Internet. International Centre for Counter-Terrorism (ICCT).

Zelin, A. Y. (2013). Libya Beyond Benghazi. Journal of International Security Affairs, (25).